სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ლიტერატურის თეორია (ზოგადი და კომპარატივისტული კვლევები)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი **ირმა რატიანი**

საჭიროების შემთხვევაში, სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად შესაძლებელია დამატებით მოწვეული იქნას თსუ ასოცირებული პროფესორი **რამაზ ჭილაია**

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
სადოქტორო პროგრამა არის სუბდისციპლინარული - მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის - ლიტერატურის თეორიის სფეროში შემავალ პრობლემებს. ლიტერატურის თეორიის სწავლებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფილოლოგიური დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების აღზრდაში. ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა საერთაშორისო ფილოლოგიის დონეზე ყველაზე უფრო პოპულარული დარგია. ამის გამო, გასული ათწლეულების მანძილზე, აღნიშნული მიმართულებით მრავალი ახალგაზრდა ფილოლოგი ამზადებდა საკვალიფიკაციო ნაშრომს. არაერთი მათგანი - თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებიც ამ მიმართულებით იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის გამო, ელოდება მათ მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის დასრულებას და ოფიციალურ განხილვას. წინამდებარე სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სწორედ ამ კატეგორიის ასპირანტებისა და მაძიებლების სამეცნიერო პრობლემატიკაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამა მოიცავს ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სხვადასხვა სფეროს პროგრამებს: პოეტიკას, მეცნიერებას პოეტიკური საშუალებების, ენობრივი და მხატვრულ-სახეობრივი გამომსახველობითი ფორმების შესახებ; თეორიულ და ისტორიულ პოეტიკას; მხატვრული ნაწარმოების სტრუქტული შემადგენლობის კვლევას და ანალიზის ფორმებს; ზოგადად ლიტერატურული პროცესის ანალიზს; ლიტერატურტულ-თეორიული მეთოდოლოგიებისა კვლევას და მეთოდოლოგიური სკოლების შესწავლას; ლიტერატურული ნაწარმოების გააზრებას სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენების კონტექსტში; კომპარატივისტულ კვლევებს, ერთობლივ კვლევებს მომიჟნავე დისციპლინებტან - ლიტერატურის ისტორია, ესთეტიკა, ფილოსოფია და ა.შ.

შედეგები: სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად, ახალგაზრდა მეცნიერი წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომს, რომელიც თავისი შინაარსითა და შესრულების მეთოდოლოგიით იქნება ახალი სიტყვა და ნოვატორული ნაბიჯი ქართულ მეცნიერებაში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების შესახებ დადგენილების"გარდამავალი დებულებები.

კერძოდ: წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ ყოფილი თსუ ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ გამოცდა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებულ ყველა საგანში და დამტკიცებული აქვთ საკვალიფიკაციო თემა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სპეციალობით.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიის ინსტიტუტს აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს: ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი - სავარაუდოდ, ამ პროგრამით დოქტორანტურაში ჩაირიცხება, 3-4 მაძიებელი,

დასაქმების სფერო
სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი სექტორი, სასწავლო დაწესებულებები და სხვა;